

„საქართველოს საფონდო ბირჟის“
გენერალურ დირექტორს

მოგესხნებათ, რომ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 5 აგვისტოს N78/04 ბრძანებით დამტკიცებული, „ანგარიშვალდებული საწარმოების მიმართ პერიოდული საანგარიშგებო მოთხოვნების განსაზღვრის, საანგარიშგებო მოთხოვნებისაგან გათავისუფლების, ანგარიშვალდებული საწარმოების ინფორმაციის კონფიდენციალურობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს ნახევარი წლის ანგარიში, რომელიც უნდა მოიცავდეს ანგარიშვალდებული საწარმოს ფინანსურ ანგარიშებს; ინფორმაციას საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი არსებითი მოვლენების შესახებ; საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული ფორმით მოცემულ სხვა ინფორმაციას.

2018 წლის 20 მარტს სს „სილქნეტი“ გახდა შპს „ჯეოსელის“ 100%-იანი წილის მფლობელი, აღნიშნულის გათვალისწინებით, სს „სილქნეტის“ ნახევარი წლის ანგარიშში შპს „ჯეოსელის“ აუდირებული ანგარიშის გათვალისწინების მიზნით, ორივე კომპანიაში მიმდინარეობს მუშაობა, აუდიტორულ კომპანიასთან ერთობლივად. იმის გათვალისწინებით, რომ სს „სილქნეტის“ მიერ შპს „ჯეოსელის“ 100% იანი წილის შესყიდვამდე კომპანიებს სხვადასხვა აუდიტორული კომპანიები ემსახურებოდნენ, ნახევარი წლის ანგარიშის შედგენა როგორც შპს „ჯეოსელის“ და სს „სილქნეტის“ ასევე აუდიტორული კომპანიის მხრიდან მოითხოვს განსაკუთრებულ ძალისხმევას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2018 წლის 29 ივნისს სს „სილქნეტმა“ წერილით (N2918/01-8) მიმართა საქართველოს ეროვნულ ბანკს და სთხოვა ნახევარი წლის ანგარიშის გადავადება მიმდინარე წლის 30 სექტემბრამდე.

დამატებით გიგზავნით საქართველოს ეროვნულ ბანკში გაგზავნილი წერილის ასლს.

დანართი: 1 ფურცელი 1 ეგზ.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

დავით მამულაიშვილი



2918/01-8
29.06.18.

საქართველოს ეროვნული ბანკის
პრეზიდენტს ბატონ კობა გვენეტაძეს

ბატონო კობა,


მოგესენებათ, რომ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 5 აგვისტოს N78/04 ბრძანებით დამტკიცებული, „ანგარიშვალდებული საწარმოების მიმართ პერიოდული საანგარიშგებო მოთხოვნების განსაზღვრის, საანგარიშგებო მოთხოვნებისაგან გათავისუფლების, ანგარიშვალდებული საწარმოების ინფორმაციის კონფიდენციალურობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს ნახევარი წლის ანგარიში, რომელიც უნდა მოიცავდეს ანგარიშვალდებული საწარმოს ფინანსურ ანგარიშებს; ინფორმაციას საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი არსებითი მოვლენების შესახებ; საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული ფორმით მოცემულ სხვა ინფორმაციას.

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2018 წლის 20 მარტს სს „სილქნეტი“ გახდა შპს „ჯეოსელის“ 100%-იანი წილის მფლობელი, აღნიშნულის გათვალისწინებით, სს „სილქნეტის“ ნახევარი წლის ანგარიშში შპს „ჯეოსელის“ აუდიტებული ანგარიშის გათვალისწინების მიზნით, ორივე კომპანიაში მიმდინარეობს მუშაობა, აუდიტორულ კომპანიასთან ერთობლივად. იმის გათვალისწინებით, რომ სს „სილქნეტის“ მიერ შპს „ჯეოსელის“ 100% იანი წილის შესყიდვამდე კომპანიებს სხვადასხვა აუდიტორული კომპანიები ემსახურებოდნენ, ნახევარი წლის ანგარიშის შედგენა როგორც შპს „ჯეოსელის“ და სს „სილქნეტის“ ასევე აუდიტორული კომპანიის მხრიდან მოითხოვს განსაკუთრებულ ძალისხმევას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ ნახევარი წლის ანგარიშის წარმოდგენილი ვადა გადაგვივადოთ მიდინარე წლის 30 სექტემბრამდე.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი


დავით მაჭულაიშვილი



შეთანხმებულია: ლ. ფშავლიშვილი

მ.ჯავახია

ნ.ნიჟარაძე



02.07.2018